

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნარჩენების
მართვის 2023 – 2027 წლების
სამოქმედო გეგმა

(დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის
-----)

შინაარსი

თავი - 1

1.1 შესავალი	გვ. 2
1.2 ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნები	გვ. 3
1.3 ხუთწლიანი გეგმის სამართლებრივი ჩარჩო	გვ. 3
1.4 ხუთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესი	გვ. 3

თავი - 2

მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვაში არსებული მდგომარეობის ანალიზი და გამოწვევები

2.1 მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა	გვ. 4
2.2. დემოგრაფია	გვ. 4
2.3. ეკონომიკური საქმიანობები	გვ. 8
2.4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვაში არსებული მდგომარეობის ანალიზი	გვ. 8
2. 5. მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები	გვ. 11
2.6 ზუგდიდის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და სახეობები	გვ. 14
2.7 მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების და დამუშავების სისტემების მიმოხილვა, არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა	გვ. 16
2.7.1 მყარი ნარჩენების შეგროვების გამოყენებული მეთოდები და ტრანსპორტირება	გვ. -16
2.7.2 ნარჩენების შემგროვებელი ავტომატები	გვ. 18
2.7.3 ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები	გვ. 18

2.8 ნარჩენების დამუშავების საწარმოები , ნაგავსაყრელები -----	გვ. 19
2.9 საზიგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები -----	გვ. 19
2.10 თანამშრომლობა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან -----	გვ. 20

თავი - 3

ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების გეგმის საპროგნოზო მაჩვენებლები.

3.1 მყარი ნარჩენების წარმოქმნის პროგნოზი 2023 – 2027 წლებისათვის -----	გვ. 21
3.2 მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და ადდგენის (რეციკლირების) სისტემების დანერგვის შესახებ -----	გვ. 22
3.3 მყარი ნარჩენების სეპარირებული შეგროვების და რეციკლირების შედეგების გავლენა ნაგავსაყრელში გაზიდული ნარჩენების რაოდენობაზე -----	გვ. 23
3.4 მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხარჯების განსაზღვრა 2023 – 2027 წლებისათვის -----	გვ. 25
3.4.1 საოპერაციო ხარჯები -----	გვ. 25
3.4.2 მოსალოდნელი კაპიტალური დანახარჯები 2023 – 2027 წლებში -----	გვ. 26
3.5 შემოსავლები ადგილობრივ ბიუჯეტში მოსაკრებლების სახით -----	გვ. 28
3.5.1 მყარი ნარჩენების მომსახურების ტარიფები -----	გვ. 28
3.5.2 შემოსავლები მოსაკრებლებიდან -----	გვ. 29
3. 6 ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვაში გამოკვეთილი გამოწვევების შესახებ -----	გვ. 29

თავი - 4


4.1 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა -----	გვ. 30
--	--------

თავი 1.

1.1 შესავალი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წლების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის, საქართველოში ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგის და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მასში ასახულია მუნიციპალიტეტის მიზნები და ამოცანები 2023-2027 წლებისათვის და მისი განხორციელების გზები.

ნახ. 1: მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვა



1.2 ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნები

ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნებია:

- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიიდან და 2022-2026 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებების და საკრებულოს რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;
- ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია და შემცირება;

- ნარჩენების დაგროვებით გამოწვეული ზიანის შემცირება და რესურსების ეფექტიანად გამოყენება;
- არსებული რესურსების ცირკულარულ ეკონომიკაში მაქსიმალური ჩართვა;

1.3 ხუთწლიანი გეგმის სამართლებრივი ჩარჩო

წინამდებარე გეგმის შედგენას საფუძვლად დაედო კანონები, საკანონმდებლო აქტები და დადგენილებები, რომლებიც უშუალოდ ეხება საქართველოში ნარჩენების მართვის საკითხებს, კერძოდ:

- ნარჩენების მართვის კოდექსი ;
- ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030 წწ.);
- ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2022-2026წწ.);
- ტექნიკური რეგლამენტი „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“
- ტექნიკური რეგლამენტი “სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების” შესახებ:

მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესში ასევე გათვალისწინებულია შემდეგი კანონების მოთხოვნები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;

1.4. ხუთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესი

გეგმის შემუშავების მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მიერ ეტაპობრივად იხილებოდა გეგმის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები.


გეგმის პროექტის ძირითადი პარამეტრები, მისი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყნდებოდა სოციალურ ქსელში, განხილულია საჯარო შეხვედრაზე და გათვალისწინებულია გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.

მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვაში არსებული მდგომარეობის

ანალიზი და გამოწვევები

2.1 ადგილმდებარეობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო ზემო სვანეთის მხარეში. მისი საერთო ფართობი შეადგენს 682 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობის ძემოსავლების ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობა, განვითარებადი გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, ტურიზმი, მომსახურეობის სხვადასხვა სერვისები და საჯარო სამსახურები. ჰავა ნოტიო - სუბტროპიკულია, ზაფხული ცხელი იცის, ზამთარი კი თბილი, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურით +13,7 C. ნალექების წლიური რაოდენობა 1600 მმ ს აღწევს. ადმინისტრაციულ ერთეულს ჩრდილო დასავლეთით ესაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს, სამხრეთით კი ხობის მუნიციპალიტეტი.




ნახ. 2: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მდებარეობა

2.2 დემოგრაფია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გაერთიანებულია 49 ტერიტორიული ერთეული, მათ შორის ქალაქი ზუგდიდი (ფართობი 18,8 კვადრატული კილომეტრი) და 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეული (663,2 კვადრატული კილომეტრი). ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 105 509 კაცი; მათ შორის (იხ. ნახატი N2) ქალაქში 42 998 კაცი (მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 40,7%), სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში 62511 კაცი (მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 59,3 %) ,

მოსახლეობის სიმჭიდროვეა 244 ადამიანი 1 კვადრატულ = კილომეტრზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 ადამიანი) თითქმის 4 ჯერ აღემატება.

მოსახლეობის განაწილება (ნახ. N 3)



ცხრილი 1: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით)

ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	მოსახლეობა	ოჯახების რაოდენობა	სოფელი/ქალაქი
ქალაქი ზუგდიდი		42998	13113	
	აბასთუმანი	997	330	
	ანაკლია	1368	403	...
	ახალაბასთუმანი	2084	600	
	ახალკახათი	1170	343	
	ახალსოფელი	1488	447	
	ბაში	533	139	
	განმუხური	1354	354	
	გრიგოლიში	509	174	
	დავითიანი	498	142	
	დარჩელი	2781	815	...
	დიდინეძი	758	218	
	დიდინეძის კახათი	362	100	
	ერგეტა	777	224	
	ზედაეწერი	1557	468	
	ინგირი	4049	1209	

ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	მოსახლეობა	ოჯახების რაოდენობა	სოფელი/ქალაქი
	კახათი	4024	1163	
	კიროვი	859	245	
	კოკი	887	234	
	კორცხელი	883	236	
	ნარაზენი	2479	770	
	ნაცატუ	544	145	
	ნაწულუკუ	1194	346	
	ოდიში	1934	546	
	ოირემე	785	212	
	ორსანტია	2052	594	
	ორულუ	1214	357	
	ოფაჩხაფუ	81	25	
	ოქტომბერი	1100	325	
	რიყე	1552	450	
	რუხი	2784	802	
	ტყაია	683	186	
	ურთა	752	227	
	უჩაშონა	315	84	
	ყულიშკარი	1305	395	
	შამადელა	493	138	
	შამგონა	1605	422	
	ჩხორია	968	280	
	ჩხოლუმი	1064	305	
	ცაიში	1714	518	
	ცაცხვი	843	275	
	ცვანე	394	128	
	ჭაქვინჯი	1243	369	
	ჭითაწყარი	3298	938	
	ჭკადლუში	1470	416	
	ხეცერა	261	95	
	ხურჩა	535	160	
	ჯიხაშკარი	1716	510	

ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	მოსახლეობა	ოჯახების რაოდენობა	სოფელი/ქალაქი
	ჯუმი	1200	344	
ჯამი		105509	31 319	

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლისათვის, წინა 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია 56 287 ერთეულით ანუ 35 % - ით.

მოსახლეობის რაოდენობის მოსალოდნელი ცვალებადობა 2023 – 2027 წლებში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასაგეგმ 2023 – 2027 წლებში მოსახლეობის რაოდენობაზე ძირითადად გავლენას მოახდენს 4 ფაქტორი:

1. მოსახლეობის ბუნებრივი მატება;
2. ეკონომიკის (სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, ტურიზმი, მომსახურების სერვისი) განვითარება;
3. ტურისტების შემოდინება (ანაკლია განმუხურის საკურორტო ზონის ფაქტორი);
4. ქ. ზუგდიდის გეოგრაფიული მდებარეობა - როგორც სამეგრელო ზემო-სვანეთის ცენტრისა;

დასახელებული ფაქტორების გავლენით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა მოსალოდნელია შემდეგნაირად შეიცვალოს (იხ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი N2):

ცხრილი N2

წლები	რაოდენობა წლის დასაწყისში	მუდმივი მოსახლეობის მატება		რიცხოვნობა წლის ბოლოს	სეზონური მატება			სულ რიცხოვნობა
		ბუნებრივი 1%	ეკონომიკის განვითარებით 0.5%		ტურიზმით	დამსვენებლებით	სულ	
2023	105 506	1 055	531	107 092	5 000	2 500	7 500	114 592
2024	107 092	1 071	535	108 698	5 000	2 500	7 500	116 198
2025	108 698	1 087	543	110 328	5 500	3 000	8 500	118 828
2026	110 328	1 103	552	111 983	5 500	4 000	9 500	121 483
2027	111 983	1 120	560	113 663	6 000	4 500	10 500	124 163
სულ	x	5 436	2 721	x	27 000	16 500	43500	x

დასკვნა მოსახლეობის ცვალებადობასთან დაკავშირებით:

დასაგეგმ 2023 – 2027 წლებში მოსალოდნელია მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდა საშუალოდ წელიწადში 1631 კაცით ანუ 1,6% - ით. სულ 5 წლის განმავლობაში კი 8154 კაცით ანუ 8% - ით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების განაწილება ინდივიდუალურ და მრავალბინიან სახლებში შემდეგ სურათს იძლევა:

მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სულ 31 319 კომლი, აქედან ქალაქში ცხოვრობს 13113 ოჯახი, მათ შორის ერთოჯახიანია 8763 ერთეული, ხოლო 4350 ოჯახი ცხოვრობს 145 მრავალოჯახიან (მრავალსართულიან) სახლებში.

სასოფლო ტერიტორიულ ერთეულებში ცხოვრობს 18206 კომლი, აქედან ერთოჯახიანში ცხოვრობს 17456 კომლი, 750 კომლი კი ცხოვრობს 50 მრავალოჯახიან (მრავალსართულიან სახლებში).

(ზემოთ მოტანილი მონაცემები გათვალისწინებულია წინამდებარე გეგმის შესაბამის გათვლებში);

2.3. ეკონომიკური საქმიანობები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განვითარებადი გადამამუშავებელი მრეწველობა, მომსახურეობის სხვადასხვა სერვისები და საჯარო სამსახურები, ვითარდება ანაკლია - განმუხურის საკურორტო ზოლი და ტურიზმი.

2.4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვაში არსებული მდგომარეობის ანალიზი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვას ანხორციელებს მერიის მიერ ამ მიზნით დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“ (შემდგომში ტექსტში „ ცენტრი“).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და შესაბამისად „ცენტრი“ მყარი ნარჩენების მართვაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს რესპუბლიკის მასშტაბით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი რესპუბლიკური კონკურსის „ ყველაზე სუფთა რეგიონი“ ზედიზედ (2016 - 2021 წლები) 6 - გზის გამარჯვებულია.

2022 წლის მდგომარეობით მყარი ნარჩენების მართვაში არსებულ მდგომარეობაზე, „ ცენტრის „ მიერ გაწეული საქმიანობის, ძირითადი საშუალებებისა და მუშახელის გამოყენების ეფექტიანობაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი შემდეგი შეფასებითი ინდიკატორული მაშვინებლები:

1. ცენტრში დასაქმებულთა რიცხვი 2022 წლის 1 ნოემბრისათვის 498 პირი; მათ შორის :
 - ადმინისტრაციული პერსონალი 35 პირი;
 - ხელშეკრულებით მომუშავე მუშა - პერსონალი 463 პირი;
2. კომლების საშუალო შემადგენლობა : ქალაქში 3,3 პირი, სოფლებში 3,4 პირი;
3. ცენტრის ფაქტიური ბიუჯეტი 2020 წელს 4950 ათასი ლარი, 2021 წელს 5598,7 ათასი ლარი, ბიუჯეტის ზრდის მაჩვენებელი 13,1 %. 2022 წელს (მოსალოდნელი) 6158,3 ათასი ლარი; ზრდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 10,0 %;
4. გაწეული ყოველთვიური დანაარჯი 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით:
 - 2020 წელს 3,91 ლარი ;
 - 2021 წელს 4.42 ლარი;
 - 2022 წელს (გეგმიური) 4.19 ლარი;

5. საშუალო ხელფასი თვეში 621 ლარი, მათ შორის მძღოლების 798 ლარი, დამგველების, მტვირთავების და მუშების 450 ლარი;
6. მყარი ნარჩენების მართვის საჭიროების (მომსახურეობის არეალის დაფარვის) უზრუნველყოფის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში:
 - ქალაქში 475 ქუჩა 13 113 ოჯახი, 42 998 კაცი, მომსახურების დონე 100 %
 - სოფლებში 48 სოფლის 1650 ქუჩა 16 385 კომლი, 62 511 კაცი, მომსახურეობის დონე 90 %;
 - მომსახურეობის დაფარვის საშუალო მუნიციპალური მაჩვენებელი 94%;
 - კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტები - Cii) – 1200 ერთეული, მომსახურეობის დონე 100%;
7. ყოველდღიურად დასუფთავებული ფართობი 92 ჰექტარი;
8. პერიოდულად (ყოველკვირეულად), გრაფიკის მიხედვით დასუფთავებული ცენტრალური, სასოფლო და ტურისტული ტრასები 620 – 700 კილომეტრი;
9. გატანილი მყარი ნარჩენების რაოდენობა:
 - 2020 წელს, წელიწადში: 28,3 ათასი ტონა (99,1 ათასი მ3), თვეში: 2356 ტონა, (8 246 მ3), გაიზიდებოდა საშუალოდ დღეში: 78,5 ტონა (275 მ3);
 - 2021 წელს, წელიწადში 28,2 ათასი ტონა (98,7 ათასი მ3), თვეში 2350 ტონა (8225 მ3), გაიზიდებოდა საშუალოდ დღეში 77.3 ტონა (271მ3);
10. ნაგავმკრები კონტეინერების რაოდენობა:
 - 2022 წლის 31 დეკემბრისათვის სულ: 3361 ცალი, მათ შორის 1,1 მ3 მოცულობის 2200 ცალი; კონტეინერებით უზრუნველყოფის მაჩვენებელია 58%;
 - 100% ით მომსახურეობით უზრუნველყოფისათვის საჭირო კონტეინერების რაოდენობა 5 776 ცალი, მათ შორის : 1,1მ3 მოცულობის 4074 ცალი.
11. 2021 წელს საშუალოდ ერთი მაცხოვრებლის მიერ დღე დამეში წარმოშობილი მყარი ნარჩენების რაოდენობაა სულ 759 გრამი, მათ შორის ქალაქში 1216 გრამი, სოფლებში 430 გრამი, ხოლო გატანილის მიხედვით 733 გრამი , მათ შორის: ქალაქში 1216 გრამი, სოფლებში 400 გრამი;
12. ნარჩენების გადასაზიდი მანქანების რაოდენობა სულ 26 ერთეული, მათ შორის: საკუთარი 16 , იჯარით აღებული 10 , მათი საერთო ტვირთამწეობაა 82 ტონა. (287 მ3).
13. ყოველდღიურად შესრულებული რეისების რაოდენობა 27, ერთ ნაგავმზიდს გადააქვს საშუალოდ 3,5 4 ტონა მყარი ნარჩენი;
14. მოსაკრებლების ამოღების მაჩვენებლები:
 - ამოღებული იქნა 2021 წელს 537,9 ათასი ლარი, 44,4 ათასი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით. ზღვრული გეგმის 62%, რეალური გეგმის 31,2%; ამოღების მაჩვენებელია ქალაქის მოსახლეობიდან 57%; სოფლის მოსახლეობიდან 6%, საშუალოდ მოსახლეობიდან 33,5% ეკონომიკის სექტორიდან 88,9%;
15. ბიუჯეტიდან სუფსიდირების შემცირების მაჩვენებელი მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორიდან მოსაკრებლების ამოღებით:
 - 2020 წელს 10,8%, 2021 წელს 9,6; დაგეგმილი 2022 წლისათვის 11,3%; დაგეგმილი 2027 წლისათვის 20%;
16. დანახარჯი ნაგავსაყრელში 1 ტონა მყარი ნარჩენის ტრანსპორტირებაზე:
 - მხოლოდ პირდაპირი დანახარჯებით: 1 მ3 ზე 25,0 ლარი;
 - 1 ტონაზე 75 .0 ლარი

➤ მოლოანი დანახარჯებით 1 ტონაზე 194,26 ლარი

17. წყალმშენი მანქანით გარეცხილი ქუჩები 15;

18. შეგროვებული და ნაგავსაყრელში გადატანილი ნარჩენების მოცულობა:

2015 წელს	15 714 ტონა;
2016 წელს	18 286 ტონა;
2017 წელს	25 983 ტონა;
2018 წელს	28 166 ტონა;
2019 წელს	29 000 ტონა;
2020 წელს	28276 ტონა;
2021 წელს	28 221 ტონა
2022 წელს	27 000 ტონა (მოსალოდნელი)

ნახ. 4 . გაზიდული მცულობების გრაფიკული გამოსახულება (იხილეთ შემდეგ გვერდზე)



გამოკვეთილი გამოწვევა: მუნიციპალური ნარჩენების სეპარირების, რეციკლირების და ხელახალი გამოყენების პროცესების გადაუდებლად დაწყების აუცილებლობა;

2.5. მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები

2018 – 2022 წლების ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო 9 მიზნის და 21 ამოცანის შესრულება:

კერძოდ, 5 წლიანი გეგმა ითვალისწინებდა შემდეგი მიზნების შესრულებას:

1. ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება;
2. ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა ადგილობრივ დონეზე;
3. ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა;
4. ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა;
5. ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა;
6. ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღების სისტემის შემუშავება, „დამბინძურებელი იხდიას“ პრინციპის შესაბამისად და მისი დანერგვის დაწყება.
7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების ხელშეწყობა და დანერგვა
8. ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა;
9. საჯარო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერება ადგილობრივ დონეზე, ასევე კერძო კომპანიების შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;

დასახელებული 9 მიზნიდან შესრულებულია 7 მიზანი;

არ არის შესრულებული 2 მიზანი, კერძოდ:

მიზანი მე 5: ნარჩენების სეპარირება, ხელახალი გამოყენება რეციკლირება და აღდგენა, რომელიც დაიწყო მაგრამ ვერ გაგრძელდა კოვიდ 19 ის პანდემიის ხანგრძლივი პერიოდის დაწყების გამო და

მიზანი მე -6 ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღების სისტემის შემუშავება,, დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად და მისი დანერგვის დაწყება.

ზემოთ დასახელებული 9 მიზნის შესრულება უნდა მომხდარიყო 21 ამოცანის განხორციელებით.

ამ ამოცანების შესრულებაზე წარმოდგენას მოგვცემს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი N3

	ღონისძიებები	შესრულების ვადა	შესრულების მიმდინარეობა
1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბინძურების ე.წ. ცხელი წერტილების და დასაგვამი მოცულობების ობტიმალური განსაზღვრა	2018 წელი	შესრულებულია
2	არსებული მონაცემების ანალიზი და ინსპექტირების გეგმის შემუშავება	2018 - 2022წწ	შესრულებულია
3	ინსპექტირების გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის განსაზღვრა	2018 - 2022 წწ	შესრულებულია
4	ინსპექტირების გეგმის განხორციელება	2018 - 2022 წწ	ხორციელდება

5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება 2018 - 2022 წლებისათვის	2017 წელი	შემუშავებული და დამტკიცებულია საკრებულოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბერს.
---	--	-----------	---

6	სტატისტიკური საგავსაყრელების ლიკვიდაცია და არც - ერთი სახის სტატისტიკური საგავსაყრელების არდაშვება 2020 წლისათვის.	2020 წლისათვის	შესრულებულია
7	მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მოცულობის 90 % შეგროვება - გატანა	2020 წლისათვის	შესრულებულია 100 % ით 2018 წლისათვის
8	3. მყარი (ქაღალდის, პლასტიკატის მინისა და მეტალის) ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დაწყება	2019 წელი	დაიწყო 2019 წლიდან. შეჩერდა კოვიდინფექციის გამო

13	რეციკლირების პროგრამებთან დაკავშირებით მეწარმეებთან აქტიური მსხვერპლი განმარტებითი მუშაობის ჩატარება	2018 - 2022წწ	მიმდინარეობს
14	რეციკლირების დაწყებისას საჭიროების შემთხვევაში შეგროვება - კონსპორტირებაში მსარდაჭერა	2020 - 2021 - 2022წწ	უზრუნველყოფილია
9	4. რეციკლირების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა: ქაღალდისა 30% პლასტიკისა 30 % მინისა 20% ლითონისა 70%.	2020 წლისათვის	კოვიდინფექციის გამო გადაიდო, დაწყება იგეგმება 2023 წლიდან
10	მოსახლეობის და მეწარმეების საერთო ინტერესების იდენტიფიკაცია	2018 - 2022წწ	მიმდინარეობს

11	სასტანდარტად წარმოშობილი სტიქიურინაგავსაყრელების ლიკვიდაცია	2018 - 2022წწ წარმოშობისთანავე	ლიკვიდაცია ხდება წარმოშობისთანავე
12	კომპოსტირების საპილოტე პროგრამების განხორციელება	2022 წლისათვის	დადავადდა სახსრების უკმარისობის გამო

15	1. მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის გაანგარიშება, პროგრამის "ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში" (WMTR) ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიით	2020 - 2021 - 2022 წლ.	2023 - 2027წწ
16	2. საქართველოში არსებული საუკეიფო პრაქტიკის გათვალისწინებით, მოსახლეობისაგან დასუფთავების მოსაკრებლის შეგროვების ეფექტიანი სისტემის მოდელის შემუშავება	2020 - 2021 - 2022 წლ.	2023 - 2027წწ
17	3. დასუფთავების მოსაკრებლის შემუშავებული სისტემის ეტაპობრივი დანერგვის დაწყება.	2020 - 2021 - 2022 წლ.	2023 - 2027წწ

18	ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება	2020-2021 2022 წლ.	2023-2027წწ წლიდან და შემდგომი პერიოდისათვის
----	--	-----------------------	---

	ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება, ანგარიშგება და მონაცემთა ბაზა) შემუშავება და დანერგვა 2019 წლისათვის		
19	1. სპეციალისტების შერჩევა,	2020-2021 - 2022 წლ.	შესრულებულია
20	2. სპეცტექნიკის და ინტერნეტ - პროგრამის შექმნა	2020-2021 - 2022 წლ.	შესრულებულია
21	3. კომპიუტერული ტექნიკის შეძენა	2020-2021 2022 წლ.	შესრულებულია

გამოკვეთილი გამოწვევა:

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, 21 ამოცანიდან შესრულებულია 15.

შეუსრულებელი 6 ამოცანიდან 5 ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანის განხორციელების დაწყება კი გადატანილი უნდა იქნას 2023 – 2027 წწ ხუთწლიანი გეგმის მეორე ციკლში (იხილეთ თავი N10 ,, მუნიციპალიტეტში 2023 – 2027 წლებში ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა).

ეს ღონისძიებებია:

1. სეპარირების პროცესების განახლება, რეციკლირების დაწყება და იმ მინიმალური ინდიკატორული მაჩვენებლების მიღწევა, რომელიც განსაზღვრულია 2023 – 2037 წლების ხუთწლიანი გეგმით (იხილეთ თავი N10 ,, მუნიციპალიტეტში 2023 – 2027 წლებში ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა).
2. მოსახლეობისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ტარიფის გაანგარიშება ახალი მეთოდოლოგიით;
3. დასუფთავების მოსაკრებლის შემუშავებული სისტემის ეტაპობრივი დანერგვა
4. მოსახლეობიდან მოსაკრებლის შეგროვების (ამოღების) სრულყოფილი მოდელის შემუშავება
5. ეკონომიკის სექტორიდან ხარჯების ამოღების სრულყოფილი მოდელის შემუშავება

2.6 ზუგდიდის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა და სახეობები

მონაცემები წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ

ცხრილი N4

მოსახლეობა	ქალაქის	სოფლის	სულ	
ოჯახის საშუალო სიდიდე (წევრები)	3.30	3.40		
მოსახლეობის რაოდენობა	42 998	62 551	105 549	
მომსახურებით დაფარული მოსახლეობა	42 998	56 296	99 294	83.15
მოსახლეობის განაწილება (%)	40.74%	59.26%		
ოჯახების რაოდენობა	13 113	18 206	31 319	

მუნიციპალური მყარი ნარჩენები	ქალაქის	სოფლის	სულ
წარმოქმნის იდექსი (კგ/მოს/დღე)	1.20	0.45	0,759
წარმოქმნის იდექსის ზრდის ტემპი(%)	0.00%	0.00%	
სეგროვების დაფარვა (%)	100.00%	90.00%	
წარმოქმნილი (ტონა/წელი)	19 088	10 148	29 236
სეგროვებული (ტონა/წელი)	19 088	9 133	28 221
სეგროვებული (ტონა/წელი)	0	1 015	1 015

ცხრილი 5

ნარჩენების (სავარაუდო) შედგენილობა	წილი მთლიან რაოდენობაში %	რაოდენობა ტ/წ
ბიოლოგიური ნარჩენი	60,92%	17201
ქალაქი	5,00%	1411
პლასტმასი	7,00%	1975
შავი ლითონები	1.01%	284
ფერადი ლითონები	2.02%	568
მინა	2.02%	568
ხე	1.01%	284
ქსოვილი და ტყავი	4,00 %	1129
ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მიწყობილობები	2.02%	568
სამშენებლო და დემონტაჟის	5,00%	1411
სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები		
სხვა	10,0%	2822
სულ	100.00%	28 221

რამდენის შესაფუთი მასალა	წილი წლიურ	რაოდენობა
--------------------------	------------	-----------

ამ ფრაქციებში?	რაოდენობაში %	ტონა/წელი
ქალაქი	5,00%	1411
პლასტმასი	7,00%	1975
შავი ლითონები	1.01%	284
ფერადი ლითონები	2.02%	568
მინა	2.02%	568
სულ		4806

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები შიდგება შემდეგი ფრაქციებისგან	წილი მთლიან რაოდენობაში %	რაოდენობა ტონა/წელი
ბიოლოგიური ნარჩენი	60,92%	17201
ქალაქი	5,00%	1411
სულ	65,92%	18612

2.7 მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების და დამუშავების სისტემების მიმოხილვა, არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

2.7.1 მყარი ნარჩენების შეგროვების გამოყენებული მეთოდები და ტრანსპორტირება .

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულია მოსახლეობისაგან ნარჩენების შეგროვების ექვსი ძირითადი მიდგომა:

1. კოლექტიური შეგროვება - ამ მიდგომის გამოყენების დროს ხდება საზოგადოებრივი ადგილების გამოყოფა, სადაც ხდება ერთი ან რამდენიმე კონტეინერის განთავსება, რომელიც ემსახურება მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ეს მიდგომა გამოიყენება ქალაქის (ურბანულ) ტერიტორიაზე და სასოფლო ერთეულების ცენტრებში. კოლექტიური შეგროვების მეთოდიტ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გროვდება მთლიანად შეგროვებული ნარჩენების %;

2. კარდაკარ შეგროვების ე.წ. „ კარდაკარ შემოვლის „ (ე.წ.„ზარის“) მეთოდი ეს მეთოდი გულისხმობს ნარჩენების წარმოქმნელების მიერ საკუთარი ნარჩენების თავიანთი ეზოს კართან მიტანას და გატანა ხდება ნარჩენების შემგროვებელი ბრიგადის მიერ. ნარჩენების წარმოქმნილი ამ პროცესში მონაწილეობას არ იღებს. „ კარდაკარ შემოვლის „ („ ზარის „) სისტემის გამოყენებას განაპირობებს მუნიციპალიტეტში საგაყვამკრები კონტეინერებისა და სპეციალური ნაგავშიდების უკმარისობა. ეს მეთოდი დიდ მატერიალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

3. ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა - დასუფთავება დამგველი მანქანით;

4. ტერიტორიების ყოველდღიური დაგვა - დასუფთავება ხელით და წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება ეს მეთოდი გულისხმობს ქალაქის ცენტრალური ადგილების , მოედნების, სკვერების ,

ქუჩების , მასობრივი თავშეყრის ადგილების , სოფლების ცენტრების დაგვას ხელით და წარმოქმნილი ნარჩენების ნაგავშიდებზე დატვირთვას.

5. დანაგვიანებული ტერიტორიებიდან ცელოფნების , პლასტმასის, მასობრივი თავშეყრის ადგილებში დღის განმავლობაში წარმოშობილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების აკრეფა ხელით, შეგროვება და დატვირთვა ნაგავშიდზე.

დანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლში ზღვის ამონაყარის და ნარჩენების შეგროვება სპეციალური , უნივერსალური ტექნიკა ზღვის ამონაყარის ამკრეფი მისაბმელით;

• როგორია შეგროვების სიხშირე - კვირაში და/ან დღეში რამდენჯერ?

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების შეგროვების სიხშირე დამოკიდებულია მისი შეგროვების მეთოდებზე და შეგროვების (ალების) სიხშირე, მუნიციპალიტეტში დანერგილი 6 მეთოდის გათვალისწინებით ძირითადად ასეთია:

1. შეგროვების კოლექტიური მეთოდის გამოყენებისას , ქალაქის ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში კონტეინერების დაცლა ხდება დღეში 2-3 ჯერ; ქალაქის პერიფერიებში დღეში ერთხელ, სასოფლო ტერიტორიულ ერთეულებში კვირაში ორჯერ, ხოლო ანაკლია განმუხურის საკურორტო ზონაში და დიდ სასოფლო ერთეულებში (დარჩელი, ინგირი, ჭითაწყარი, რუხი) ყოველდღიურად.

2. კარდაკარ შემოვლის მეთოდის გამოყენებისას საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხდება კვირაში ერთხელ კარდაკარ შემოვლით.

3. დამგველი მანქანით ნარჩენების შეგროვებისას , მანქანით დასაგველ ფართობზე (10 - 15 ჰა) დღეში 2 ჯერ.

4. ტერიტორიების (ქუჩები, ტროტუარები, ბულვარების და სკვერების ტერიტორიები, სოფლის ცენტრები 24 - 25 ჰა) ხელით დაგვა - დასუფთავების შემთხვევაში დღეში ორჯერ.

5. ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილებიდან (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით 49 – 50 ჰექტარიდან) მყარი ნარჩენების აკრეფა და შეგროვება ხელით.

6. ანაკლია - განმუხურის საკურორტო ზღვის სანაპირო ზონაში ზღვის ამონაყარის და ნარჩენების შეგროვება სპეციალური ტექნიკით ზღვის ამონაყარის შემგროვებელი მისაბმელით და ხელით შემდეგი ჯერადობით:

-- სეზონის განმავლობაში - დღეში ერთხელ,

- საშუალო პერიოდში ყოველ მეორე დღეს

სხვა პერიოდში კვირაში ერთხელ;

“სამთრის პერიოდში საჭიროებისამებრ.

გამოკვეთილი გამოწვევა: მომსახურეობის სისტემების ეფექტურობის ამაღლება და მომსახურეობის სერვისის გაუმჯობესება.

2.7.2 ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანები

ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრს“ 2022 წლის 1 დეკემბრისათვის ბალანსზე ერიცხება 15 ეროვნული დახურული ტიპის საპრესი მოწყობილობის მქონე ნაგავმზიდი, მათ შორის გამართულია, სამუშაო მდგომარეობაშია და შეიძლება იქნას გათვალისწინებული იქნას დაგეგმვაში 9 ერთეული საერთო ტვირთამწეობით 60 ტონა, ხოლო 6 ავტომანქანა დასაგემპ პერიოდში უნდა ჩანაცვლდეს ახალი მანქანებით.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება - გატანას კარდაკარ შემოვლით ემსახურება 11 ერთეული „გაზ - 53“ მარკის სატვირთო ავტომანქანა, საერთო ტვირთამწეობით 22 ტონა, რომლებიც იჯარით არის აღებული.

სულ მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების შეგროვება - გატანას ემსახურება 20 ერთეული ნაგავმზიდი და სატვირთო ავტომანქანა, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას დაგეგმვაში.

გამოკვეთილი გამოწვევა: ნაგავმზიდების დამატებითი საჭიროება, განსაკუთრებით კარდაკარ მომსახურების უზრუნველსაყოფად.

2.7.3 ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერები

2022 წლის 31 დეკემბრისათვის

ცხრილი N6

	სახეობა (ორბორბლიანი, ოთხბორბლიანი, პლასტმასის, ლითონის, და სხვ.)	მოცულობა (ლ)	რაოდენობა	მდებარეობა (ადგილი, რაიონი ან ქუჩა)
1	ოთხბორბლიანი ლითონის	1.100	200	
2	ოთხბორბლიანი პლასტმასის	1.100	2000	
3	პლასტმასის 240 ლიტრიანი	240	450	
4	პლასტმასის 80 ლიტრიანი	120	100	
5	პლასტმასის ბოძებზე დასამონტაჟებელი	50	568	
6	ურნა სხვადასხვა სახის		43	
7				
8	სულ კონტეინერების რაოდენობა		3361	

ურნების დასახელებული რაოდენობიდან საშუალოვადიან დაგეგმვაში შეიძლება გათვალისწინებული იქნას მთელი რაოდენობის 80% ანუ 2689 ერთეული. მომსახურებაზე მოთხოვნის მთლიანად დასაფარავად საჭიროა 5776 ცალი ნაგავმემკრები კონტეინერი ანუ მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელია 48%;

გამოკვეთილი გამოწვევა: ნაგავმემკრები კონტეინერების ნაკლებობა.

2.8 ნარჩენების დამუშავების საწარმოები ნაგავსაყრელები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფელ ცაცხვის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს რეგიონალური ნაგავსაყრელი.

ცხრილი 7: ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია

ადგილმდებარეობა	ზედაპირის ფართობი	სავარაუდო მოცულობა	სტატუსი (მოქმედი/უმოქმედი)
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაცხვი	15	რეგიონალური	მოქმედი

ამჟამად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში 15 ჰექტარზე ფუნქციონირებს ღია ტიპის რეგიონალური ნაგავსაყრელი, რომელიც არ აკმაყოფილებს თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელის სტანდარტებს და მისი ფუნქციონირება სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნაგავსაყრელში მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან ყოველწლიურად გაიზიდება 28 .0 ათასი ტონა მყარი ნარჩენი. ასევე დიდი რაოდენობის ნარჩენი შემოდის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებიდანაც. ამდენად, სამეგრელო ზემო სვანეთის მხარეში რეალურად დადგა მყარი ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების საკითხი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოქმნილი ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა ახალი თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელის მშენებლობა, კერძოდ:

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ დაიწყო „ნარჩენების მართვის ინტეგრირებული პროგრამა 2⁰“ -ის განხორციელება. ამ პროგრამის ფარგლებში, 2019 (პროექტი დაიწყო 2019 წლის 14 ოქტომბერს) – 2024 წლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში მდებარე სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონული, ზემოთ აღნიშნული, მოქმედი ნაგავსაყრელის დახურვა და მის ადგილზე ახალი, რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ეროვნული და საერთაშორისო (ევროკავშირის) სტანდარტების შესაბამისად. მთლიანი პროექტის საინვესტიციო ღირებულება 18,5 მილიონი ევროა, აქედან გრანტი 1 ,0 მილიონ ევროს შეადგენს.

2.9 საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

ააიპ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრი⁰ 2018 - 2022 წლებში სერიოზულ მუშაობას ეწეოდა მყარი ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის . ამ მიმართულებით ცენტრში აქტიურად მუშაობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

2023 - 2027 წლებში იგეგმება მყარი ნარჩენების ეფექტიანად მართვის საკითხებზე მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით 250 – მდე სხვადასხვა აქტივობის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 55%. ქალაქისა და სასოფლო ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობასთან, უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იგეგმება ვრცელი სააგიტაციო მუშაობა მყარი ნარჩენების მართვის ისეთ საკითხებზე , როგორცაა:

უკონტროლო მყარი ნარჩენების უარყოფითი ზეგავლანა გარემოზე, ატმოსფეროზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ჰაერზე, ნიადაგში, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში და ა.შ.

მყარი ნარჩენების გარემოში მოხვედრის შემცირების აუცილებლობაზე;

ნარჩენების სეპარირებული შეგროვების და რეციკლირების პროცესების დანერგვის მნიშვნელობაზე;
მცვე დანერგვის მნიშვნელობაზე;

სუთწლიანი გეგმის შემუშავებაში მათი მონაწილეობის და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობაზე;

ზუგდიდის მერია და „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს ცენტრიკვლავად გააგრძელებს მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები საქართველო“ ს, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“ ს და ქართველ მკვლევართა კავშირი „ლოქისი“ ს მიერ განხორციელებულ პროექტებში.

- პერიოდულად დარიგდება საინფორმაციო - სააგიტაციო ფლაერები როგორც ქალაქის ისე სოფლის მისახლეობაში, საჯარო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კომერციულ სტრუქტურებში და საჯარო თავშეყრის ადგილებში.

